ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №11

ქ.ლანჩხუთი **21.11.2019 წელი**
12.00 საათი

სხდომას გახსნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ – ვერიკო კვირკველიამ.
სხდომას ესწრებოდნენ: კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე.
არ ესწრებოდა: კახა ასკურავა.
მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია,მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე.
კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვერიკო კვირკველია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვერიკო კვირკველია/

3. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3
წინააღმდეგი -0
დამტკიცდა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1.დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო

კვირკველიამ, ხოლო საკითხზე განმარტებები მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ გააკეთა. პრიორიტეტების დოკუმენტი გარკვეულწილად იმეორებს წინა წლის ტენდენციებს, მაგრამ ვინაიდან არ არის შესაბამისი დაფინანსება და მუნიციპალიტეტის შემოსულობები ვერ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს, დოკუმენტი ჩამოყალიბების პროცესშია. ფაქტობრივად საშუალოვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმა თითქმის უცვლელია და იგი მოიცავს იმ პრიორიტეტების განხორციელებას, რაც დოკუმენტშია ასახული, სადაც ინფრასტრუქტურის განვითარება პირველ ადგილს იკავებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-3
წინააღმდეგი – 0

კომისიის წევრების მიერ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიჩნეულ იქნა მომზადებულად უახლოეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2.დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო **კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ** და კითხვით მიმართა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს, წარმოდგენილ ბიუჯეტში, რომელიც შეადგენს 10 მილიონ 742 ათას ლარს, შედის თუ არა განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოსაყოფი თანხა, რაზეც როლანდ ლაშხიამ უპასუხა, რომ კაპიტალური ხარჯები არ არის ასახული ბიუჯეტში და მისი ასახვა მთავრობის განკარგულების საფუძველზე ეტაპობრივად ხდება.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა განმარტება სოციალური პროგრამების შესახებ გააკეთა. მან ისაუბრა 2020 წლისათვის დაგეგმილ ცვლილებებზე, კერძოდ: მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 25 ლარს, დევნილებისთვის საშეშე მერქნის დახმარების პროგრამა გაიზარდა 200-დან 250 ლარამდე, ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დადგინდა 300 ლარიანი დახმარება, ასევე მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება, ასევე სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასულ ახალგაზრდებს 18-დან 24 წლამდე გაეწევათ ფინანსური დახმარება.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ცვლილებები არის შედგეზე ორიენტირებული და მასში პროგრესული ნაბიჯები შეინიშნება, თუმცა თქვა, რომ ,,ბიკარბონატული ჰემოდიალეზით - თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა“ არასრულფასოვანია, ვინაიდან დაფინანსება გამოყოფილია მხოლოდ ბენეფიციარის სატრანსპორტო ხარჯზე, თუმცა რეალობა ის არის, რომ ის მარტო ვერ ახერხებს გადაადგილებას და ამ პროგრამით გამოყოფილი თანხა არაა საკმარისი, საჭიროა თანხის გაზრდა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თანმხლებ პირთა სატრანსპორტო ხარჯიც, თუმცა წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში ისევ იგივე თანხა არის გათვალისწინებული.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა მუნიციპალიტეტში წყალარინების საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მართალია გრძელვადიანი და გლობალური პროექტია, საკმაოდ

დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული, მაგრამ აუცილებელია გადაიდგას პირველი ნაბიჯები, რაც გულისხმობს საპროექტო მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებას.

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა მუნიციპალური ტრანსპორტის პრობლემაზე, რაც გაუსაძლისს ხდის მოსახლეობის გადაადგილებას. ასევე გაუმართავი არის არსებული ტრანსპორტი, რომელიც სავარძლების რაოდენობითაც ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელს. ამ საკითხზე წლებია საუბრობს **კომისიის თავმჯდომარე,** თუმცა პრობლემა ისევ მწვავედ დგას. **ვერიკო კვირკველიას** აზრით მუნიციპალიტეტის ძალისხმევით და რა თქმა უნდა სურვილის შემთხვევაში შესაძლებელი ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს.

კომისიის თავმჯდომარე წლებია აყენებს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების შესახებ საკითხს და როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრს მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტში პრობლემაა გოგონების სპორტის სახეობების განვითარების კუთხით. ასევე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში არსებული მინი სტადიონების დაპროექტების დროს არ იქნა გათვალისწინებული კალათბურთის და ფრენბურთის ბადეების მოწყობა. გათვალისწინებულია მხოლოდ ფეხბურთის სათამაშოდ, რაც ახალგაზრდების სხვა სპორტის სახეობებით დაკავების შეზღუდვას იწვევს.

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა სკოლამდელი დაწესებულების შესახებ და აღნიშნა, რომ ამ მხრივ მუნიციპალიტეტი საკმაოდ წარმატებულია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი მოწესრიგებულია. ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის მიზერული შრომის ანაზღაურება. მაშინ, როცა ქვეყანაში საარსებო მინიმუმი დაახლოებით 192 ლარს შეადგენს, აბსოლიტურად შეუსაბამოა ასეთი პასუხისმგებლიანი და შრომატევადი სამუშაოს შესრულება წარმოდგენილი ანაზღაურების ფასად.

ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრის მიზანი არის ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობა, რაც საწყის ეტაპზე უნდა გულისხმობდეს მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ადგილების მიმართულების მაჩვენებლის ნიშნის დადგმას ქალაქის ცენტრში, რათა ვიზიტორებს გაუადვილდეს გადაადგილება სასურველი მიმართულებით. ასევე, საინფორმაციო დაფის განთავსება, სადაც მითითებული იქნება თუ რა ღირსშესანიშნაობების დათვალიერების შესაძლებლობა არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

კომისიის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჯარო მოხელეთა გადამზადების კუთხით სრულად თანხის ათვისება ვერ მოხერხდა მიმდინარე წელს, ამიტომ მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ წინასწარ მოხდეს სამიზნე ჯგუფებისა და თემების საჭიროებისამებრ განსაზღვრა და ბიუჯეტში კანონის შესაბამისად გამოყოფილი 1% პროცენტის ამ მიზნისთვის სრულად გამოყენება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შენიშვნების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-3
წინააღმდეგი – 0

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის მიერ მომზადებული დასკვნა, გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით გადაეცეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად შემაჯამებელ დასკნას გადაუგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

სხვა საკითხები კომისიის წევრების მიერ არ დასმულა. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: 3-55 ვერიკო კვირკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №11

ლანჩხუთი 21.11.2019 წელი

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

დასკვნა:

კომისიის წევრების მიერ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიჩნეულ იქნა მომზადებულად უახლოეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

დასკვნა:

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით გადაეცეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებს დასკვნას გადაუგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

კომისიის თავმჯდომარე: ვერიკო კვირკველია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

21.11.2019 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვირკველია	12.00	
2	კახა ბოლქვაძე	11:55	
3	გოდერძი ქურციძე	11:55	
4	კახაბერ ასკურავა		